



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის  
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 154

2021 წლის 7 დეკემბერი

ქ. თბილისი

**„ღია მეცნიერების“ განვითარების ხელშეწყობა“ პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარი დაწესებულებების მიერ მოსამზადებელი ინფორმაციის ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ**

„სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 31 დეკემბრის N1245475 ბრძანების, „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 31 დეკემბრის N1245475 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 03 დეკემბრის N1306886 ბრძანების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის (N1317672, 07.12.2021) შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს „ღია მეცნიერების“ განვითარების ხელშეწყობა“ პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარი დაწესებულებების მიერ მოსამზადებელი ინფორმაციის ჩამონათვალი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ერეკლე ასტახიშვილი

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

**„ღია მეცნიერების“ განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში  
ბენეფიციარი დაწესებულებების მიერ მოსამზადებელი ინფორმაციის ჩამონათვალი**

(ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე)

**პირველ ეტაპზე მოსამზადებელი ინფორმაცია**

**თავი 1. ინფორმაცია სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის შესახებ**  
(ორგანიზაციებისა და სტრუქტურული ერთეულებისთვის)

- ორგანიზაციის დასახელება
- ორგანიზაციის მისიისა და მიზნების მოკლე აღწერილობა (რეკომენდებული სიტყვების რაოდენობა: 300 სიტყვა)
- სტრუქტურული ერთეულების (მაგ., დეპარტამენტი, განყოფილება, ლაბორატორია) ჩამონათვალი
- მეცნიერ თანამშრომელთა რაოდენობა
- მისამართი (ქვეყანა, ქალაქი, ქუჩა, საფოსტო მისამართი)
- დირექტორი/ხელმძღვანელი პირი (სახელი, გვარი)
- ტელეფონი
- ელ. ფოსტა

**თავი 2. კანონის შესაბამისად მეცნიერ თანამშრომელთა (მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი და მეცნიერ თანამშრომელი) სამეცნიერო საქმიანობის შესახებ კრებსითი ინფორმაცია**

(თითოეული მეცნიერ თანამშრომლისათვის)

ა. ზოგადი ინფორმაცია

- სახელი, გვარი
- დაბადების თარიღი - რიცხვი/თვე/წელი
- სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხი (მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი)

ბ. სამეცნიერო პუბლიკაციები (მონოგრაფია, სახელმძღვანელო, სტატია, კონფერენციის კრებული):

- ნაშრომის სათაური,
- ავტორ(ებ)ი
- გამოცემის თარიღი, ჟურნალის ნომერი და გვერდები
- საგამომცემლო სახელი/ჟურნალის დასახელება, იმპაქტ ფაქტორი ან/და SJR რეიტინგი
- გამოცემის ISSN ან/და E-ISSN, ან/და ISBN
- DOI (ციფრული ობიექტის იდენტიფიკატორი, არსებობის შემთხვევაში)
- გამოქვეყნებული ნაშრომის ორიგინალის ენა